# პირსისხლიანო ყორანო

ეპირსისხლიანო ყორანო,
დუშმანო ოხერ-მკვდრებისა,
საიდან მოხვალ? მიამბე
ამბავი საფლავებისა.

ეგეტყვი, გიამბობ: იქ ვიყავ,
სად მტკვარს არაგვი ეხვევა,
ალაზანს გული უგმინავს,
რიონი ჭალებს ერხევა.

კაი რამ არის ქვეყანა,
ედემზე უკეთესია,
კაეშნის ბულბული მღერის,
სევდის ვარდები სთესია.

იქ იალბუზის მკერდიდან
წყარო რამ ჟვენავს ტინისა:ე
ამბობენ, ვითომც ცრემლია
უწინდელ გმირთა-გმირისა.

დღისით მზე ხიშტზე თამაშობს,
ღამეეკოცონი ანთია,
ალში შეხვეულ სოფლებსა
სისხლის ტბა გაუნათია!..

ეპირსისხლიანო ყორანო,
დუშმანო ოხერ-მკვდრებისა,
ეგ ხომ ჩემია სამშობლო,
სისხლიც ჩემ მოძმეებისა!

ეთვალებს გიქებენ საკორტნათ,
ჰკვდები ციმბირის ველზედა...

შენი სამშობლოც ჩემია,
ბუდეს ვსდგამ იმის მკერდზედა!...

ეს ჩამომყეფა ყორანმა,
გული წაიღო ნაღველმა...
მუქარაც ვერ ვსთქვიესამშობლოს
მხდალი შვილების მნახველმა...

1911 წ.